პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 31 იანვარი, 1947 წ. № 24 (7808). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

საკოლმეურნეო სოფლის საამაყო ადამიანები — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად (1-ლი გვერდი).
სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი საფუძველია (1-ლი გვერდი).
პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში (1-ლი გვერდი).
ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან (მე-2 გვერდი).
ჩიხელი კოლმეურნე ქალიშვილი (მე-2 გვერდი).
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები (მე-2 და მე-3 გვერდი).
ა. მარღანია—თავდაცვა-ავიაქიმის 20 წელი (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

# საკოლმეურნეო სოფლის საამაყო ადამიანები

წარმატებით მიმდინარეობს მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ქალაქად და სოფლად ამომრჩევლები გულთბილ შეხვედრას უწყობენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს. ეს შეხვედრები ახალი ძალით ცხადჰყოფენ ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის სიმტკიცეს, ამომრჩეველთა მზადყოფნას ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელმა, ისევე როგორც ქალაქმა, მაღალი პოლიტიკური შეგნებულობა და ორგანიზებულობა გამოიჩინა საარჩევნო კამპანიაში. კოლმეურნეებმა გვიჩვენეს, თუ რა უსაზღვროა მათი ნდობა ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი. მრავალრიცხოვან წინასაარჩევნო კრებებზე, თათბირებზე, დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებზე კოლმეურნეები გამოდიან მგზნებარე სიტყვებით, რომლებშიც იწონებენ ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის პოლიტიკას, მზად არიან შეასრულონ დიდი სტალინის ყველა დავალება.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირიანად შეიცვალა ჩვენი სოფლის სახე. მან თავი დააღწია საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას. ახალმა, საკოლმეურნეო ცხოვრებამ შეძლებულობის გზაზე დააყენა გლეხობა. სოფლად შეიჭრა კულტურა და განათლება. გლეხი წელში გასწორდა, ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი მოქალაქე გახდა. ახლა მუშები და გლეხები ძმური კავშირით ცხოვრობენ და მუშაობენ თავისი სოციალისტური სამშობლოსათვის.

სტალინურმა კონსტიტუციამ გლეხობას, ისე როგორც ჩვენი ქვეყნის მუშებსა და ინტელიგენციას, მიანიჭა უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნას ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, დაასახელოს და ხმა მისცეს მას, ვინც განუხრელად ზრუნავს ხალხისათვის, სამშობლოსათვის. კოლმეურნე გლეხობა ფართოდ სარგებლობს ამ უფლებით. წინასაარჩევნო კრებებზე, რომლებიც მიძღვნილი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების წამოყენებისადმი, კოლმეურნეები მოფიქრებულად და დიდი შეგნებით ასახელებდნენ თავიანთ კანდიდატებს. პირველ კანდიდატად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში მათ დაასახელეს დიდი სტალინი, ის, ვინც საბჭოთა გლეხს მიანიჭა შესაძლებლობა აშენოს ბედნიერი და შეძლებული ცხოვრება, ვისაც განუხრელად მიჰყავს კოლმეურნეები ახალ გამარჯვებათა გზით, ვინც ჩვენი ქვეყანა იხსნა ფაშისტურ მონობაში ჩავარდნის საფრთხისაგან.

მრავალრიცხოვან კრებებზე კოლმეურნე გლეხობამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელა დიდი რუსი ხალხის სახელოვანი შვილი ამხანაგი ვ. მ. მოლოტოვი, ქართველი ხალხის დიდი მოამაგე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები.

კოლმეურნეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები. მათ შორის ბევრნი არიან საკოლმეურნეო მინდვრებისა და პლანტაციების სტახანოველები, ისინი, რომლებიც თავიანთი უანგარო შრომით ხელს უწყობენ საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებას, მოსავლიანობის ზრდას, კოლმეურნეთა შეძლებულობის ამაღლებას. დეპუტატობის კანდიდატმა კოლმეურნე მარიამ ჩადუნელმა, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას, განთქმულ უკრაინელ მეჭარხლესთან მარიამ დემჩენკოსთან შეჯიბრების დროს ნაკისრი 500 ცენტნერის ნაცვლად 850 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა და სოფლის მეურნეობის დარგში უდიდესი წარმატებისათვის ლენინის ორდენი დაიმსახურა. საყოველთაოდ ცნობილია მეცხოველეობის აღმავლობისათვის დაუღალავი მებრძოლის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ორგზის ორდენოსან მართა პლიევას სახელი. მას მეორედ ირჩევენ მშრომელები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში.

ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს პლანტაციების, სიმინდის ყანების მოსავლიანობის ამაღლებაში დიდი დამსახურება მიუძღვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ორგზის ორდენოსან თავმჯდომარეს გ. გ. ჯგუბურიას. საბჭოთა ხალხმა მას უდიდესი ნდობა გამოუცხადა. იგი დამტკიცებულია სსრ კავშირის მთავრობასთან არსებული საკოლმეურნეო საბჭოს წევრად. ამხ. ჯგუბურიას ამჟამად მეორედ ირჩევენ კოლმეურნეები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საჩხერელ კოლმეურნე ქალიშვილს გულნარა ჭილაძეს ჯერ 22 წელიც არ შესრულებია, მაგრამ თავისი უანგარო, თავდადებული შრომით კოლმეურნეთა დიდი ნდობა დაიმსახურა და ღირსი გახდა დაესახელებინათ დეპუტატობის კანდიდატად. საკოლმეურნეო სოფლის ღირსეული კანდიდატები არიან საგარეჯოელი ეკატერინე გრძელაშვილი, ჩაის კრეფის ოსტატი წალენჯიხელი სოფიო შონია, მეციტრუსე აჭარელი ესმა აბულაძე, საკოლმეურნეო პირუტყვის საუკეთესო მომვლელი ბორჯომელი ლუბა მაისურაძე, მეთამბაქოე აფხაზეთიდან პარასკევა (პაშა) ბერულავა, აფხაზეთის ჩაის პლანტაციების სტახანოველი ცაცა ბერაძე. მეორედ ირჩევენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ხობის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობა „ხოთეს" თავმჯდომარეს იოსებ შეროზიას. დეპუტატობის კანდიდატთა შორის არიან სტახანოვური მოსავლის ოსტატი თელავიდან ნუშო ციხელაშვილი და ბამბის სტახანოველი მკრეფავი ბორჩალოდან — სალატინ ნოვრუზოვა, ლესიჭინის კოლმეურნეობის რგოლის ხელმძღვანელი მანუჩა სიჭინავა და საბჭოთა კავშირის გმირი, სამამულო ომის ფრონტებზე სახელგანთქმული სნაიპერი, ამჟამად გურიანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვასილ კვაჭანტირაძე, გორის რაიონის სტახანოველი მეჭარხლე თამარ მეგრელიშვილი და ვანელი კოლმეურნე ფაცია გიორგაძე, გუდაუთელი ჩაის მკრეფავი მარიამ არძინბა, მაიაკოვსკელი მეაბრეშუმე კატო ჭრელაშვილი და მრავალი სხვა.

დიდია ის მოვალეობა, რომელსაც ხალხი აკისრებს თავის დეპუტატებს. კოლმეურნეებმა იციან, რომ მათ მიერ დეპუტატობის კანდიდატად დასახელებული ადამიანები გაამართლებენ ნდობას, დაიცავენ მშრომელთა ინტერესებს, იქნებიან ხალხის ერთგული მსახურნი.

არჩევნების დღეს — 9 თებერვალს საკოლმეურნეო სოფლის გლეხობა ერთსულოვნად მისცემს ხმას კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს და ამით კიდევ ერთხელ ცხადჰყოფს თავის ერთგულებას ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი.

# იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებების ხელმოწერის გამო

ნიუ-იორკში საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომის დროს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრები იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებებს ხელს მოაწერენ შესაბამისად მოსკოვში, ვაშინგტონსა და ლონდონში.

29 იანვარს აღნიშნულ საზავო ხელშეკრულებებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით ხელი მოაწერა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

ა. წ. 10 თებერვალს პარიზში საზავო ხელშეკრულებების ხელმოწერის ოფიციალური ცერემონიის დროს ამ ხელშეკრულებებს საბჭოთა მხრიდან ხელს მოაწერს აგრეთვე საბჭოთა ელჩი საფრანგეთში ა. ე. ბოგომოლოვი. (საკდესი).

# ტუნგოს დამზადება

25 იანვრისათვის ტუნგოს დამზადების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 67,8 პროცენტით. მათ შორის კოლმეურნეობებში — 70,4 პროცენტით.

გეგმის შესრულებაში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს გაგრის, ლანჩხუთის, გუდაუთის, მახარაძის, წულუკიძის, გეგეჭკორის, ჩოხატაურისა და ჩხოროწყუს რაიონებმა.

აბაშის რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 4 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მხოლოდ 0,9 ტონა ნაყოფი ჩააბარა, სამტრედიის რაიონმა 5 ტონის ნაცვლად — 0,8 ტონა, ხოლო გულრიფშის რაიონმა 150 ტონიდან— 54 ტონა.

ოჩამჩირის რაიონში ტუნგოს დამზადების გეგმა შესრულებულია 45,8 პროცენტით, წალენჯიხის რაიონში — 54,5, გალის — 55,9, ზუგდიდის — 58,9, ქობულეთის — 62,0, სოხუმის— 64,4, ცხაკაიას — 65,5, ხობის—67,0, ბათუმის რაიონში—68,9 პროცენტით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად

# რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობაზე

## დაწყებულია აგრეგატების საცდელი ამუშავება

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებს მტკიცე გადაწყვეტილება აქვთ მიღებული: არჩევნების დღე — 9 თებერვალი აღნიშნონ მეტალურგიული გიგანტის დამხმარე საწარმოთა პირველი აგრეგატების ამუშავებით.

პირველ რიგში ამუშავებულ უნდა იქნას სარემონტო-მექანიკური, სამჭედლო და ლითონკონსტრუქციათა საწარმოების აგრეგატები. ამ აგრეგატების გამართვა უკვე დამთავრდა. აგერ რამდენიმე დღეა გრძელდება მათი საცდელი მუშაობა. 24 იანვარს სარემონტო - მექანიკური საწარმოს ელექტროქვესადგურმა უკვე მიიღო პირველი დენი. ახლა გულდასმით ამოწმებენ, თუ როგორ მუშაობენ ელექტროქვესადგურის სხვადასხვა მოწყობილობანი და აპარატურა. დაწყებულია აგრეთვე სარემონტო-მექანიკური საწარმოს საინსტრუმენტო განყოფილების დაზგათა შემოწმება. ასეთივე მუშაობა მიმდინარეობს ლითონკონსტრუქციათა და სამჭედლო საწარმოებში.

ვეებერთელა საწარმოო კორპუსებში განუწყვეტლივ მუშაობენ, სწმენდენ, ასუფთავებენ, წესრიგზე მოჰყავთ ყოველივე, ასამუშავებლად ამზადებენ საამქროებს. 9 თებერვლიდან ამ კორპუსებში ახალგაზრდა მუშათა კადრები მათთვის მიჩენილ სამუშაო ადგილებს დაიკავებენ და მუშაობას შეუდგებიან.

დამხმარე საწარმოთა ამუშავების გრაფიკს მშენებლები ზუსტად იცავენ. განსაკუთრებით კარგ შედეგებს მიაღწიეს წყალსატუმბავი სადგურის მექანიკოსმა ამხ. ტაბლიაშვილმა, სამუშაოთა ხელმძღვანელმა ინჟინერმა ამხ. ჰიქაბერიძემ და ამხ. ბორისოვისა და ამხ. სუპრუნენკოს ელექტრიკოსთა ბრიგადებმა.

## რა უნდა გაკეთდეს 1947 წელს

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლებს წელს დიდი პროგრამა აქვთ შესასრულებელი. მათ უნდა აამუშაონ თბოელექტროცენტრალის ერთი ქვაბი და ერთი საორთქლე ტურბინა. წელსვე უნდა ამუშავდეს ლითონის სამსხმელო საწარმო, რომლისთვისაც შენობა უკვე დამთავრებულია. დაწყებულია ამ შენობის შიგნითა მოწყობა და დანადგარების მონტაჟი. მიმდინარე წლის ბოლომდე მწყობრში უნდა ჩადგნენ აგრეთვე ხის დამმუშავებელი ქარხანა, ელექტროსარემონტო საწარმო და საორთქლმავლო დეპო.

დიდი სამუშაოებია გათვალისწინებული პირველი ბრძმედის დასამთავრებლად. როგორც ცნობილია, ამჟამად აქ აშენებენ ორ ბრძმედს, რომელთაგან ერთი 1948 წლის პირველ კვარტალში უნდა ამუშავდეს. წელსვე დიდი სამუშაოებია შესასრულებელი საკოქსე ქიმიური საამქროს მოსაწყობად (პირველი საკოქსე ბატარეა მომავალ წელს უნდა ამუშავდეს) და საგლომერაციო ფაბრიკის ასაგებად.

გეგმით დასახულია დიდი სამუშაო მარტენის საამქროს ამუშავების უზრუნველსაყოფად, ბლუმინგისა და საგლინავი საამქროს ასაგებად.

მიმდინარე წლისათვის გათვალისწინებულ ყველა ამ სამუშაოთა შესასრულებლად აუცილებელია 40 კილომეტრამდე სარკინიგზო ლიანდაგისა და გზატკეცილის გაყვანა.

## თბოელექტროსადგური სწრაფი ტემპით შენდება

მეტალურგიულ გიგანტს ელექტრომომარაგების საკუთარი ბაზა — თბოელექტროსადგური ექნება. იგი სავსებით დააკმაყოფილებს არა მარტო ქარხნის, არამედ რუსთავის, ამ მომავალი ინდუსტრიული ქალაქის მოთხოვნილებასაც.

ამჟამად თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე დაწყებულია მთავარი შენობის ლითონკონსტრუქციათა მონტაჟი, აკეთებენ ქვაბებისა და საორთქლე აგრეგატებისათვის ფუძეებს, აგებენ სადგურის შენობის კედლებს და სამართავი ფარის შენობას.

თბოელექტროსადგურის მშენებლობაზე საუკეთესოდ მუშაობენ ამხ. გორიშკოვისა და ამხ. ილიუშენკოს მემონტაჟეთა ბრიგადები, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს 130 პროცენტით ასრულებენ.

**პ. პეტრიაშვილი**

# მივაღწიოთ გეგმის აუცილებლად შესრულებას

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების დღეებს ტყიბულის მოწინავე მეშახტეები შრომითი წარმატებებით აღნიშნავენ.

სტალინის სახელობის შახტის მესამე უბანი (ხელმძღვანელი ვლ. გვენეტაძე) სისტემატურად ადიდებს ქვანახშირის მოპოვებას. იანვრის 20 დღის გეგმა უბანმა 116,7 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 700 ტონაზე მეტი ქვანახშირი ამოიღო. რ. ცირეკიძისა და ვ. დიაკოვის ხელმძღვანელობით მომუშავე ამ უბნის ცვლებმა ქვანახშირის მოპოვების ოცი დღის დავალება 128,9 პროცენტით გაანაღდეს. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ორი დეკადის დავალებები აგრეთვე იმ ცვლებმა, რომლებსაც დ. პატარაძე, მ. გაბრიაძე და ქ. ბეშკენაძე ხელმძღვანელობენ. მოწინავე მეშახტეები ი. ობოლაძე, ს. ლაფერაძე, ს. ლანჩავა და სხვები ორმაგად ასრულებენ ქვანახშირის მოპოვების დღიურ გეგმებს. მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა უბანი დ. კახნიაშვილის ხელმძღვანელობით. წინაწლის 16 დღის გეგმა უბანს შესრულებული აქვს 115,2 პროცენტით.

მაგრამ ყველგან ასეთივე წარმატებით როდი მუშაობენ. ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ტყიბულის შახტებში თავი იჩინა ჩამორჩენამ. ლენინის სახელობის შახტში ჩამორჩენილია ყველა უბანი, სტალინის სახელობის შახტში—4. შახტის პირველ უბანს (უფროსი შ. შოთაძე) ნახევარი თვის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 34,3 პროცენტით. სამარცხვინოდ ჩამორჩნენ აგრეთვე ის უბნები, რომლებსაც მ. ვერულაშვილი, შ. ჩიკვაიძე და გ. ჩიტიშვილი ხელმძღვანელობენ. ქვანახშირის მოპოვების ორი დეკადის დავალება ტრესტის არც ერთ შახტს არა აქვს შესრულებული.

როგორც სჩანს, ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციები სათავეში ვერ ჩაუდგნენ მეშახტეთა მძლავრ საწარმოო აღმავლობას, რაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებამ გამოიწვია. საჭიროა სასწრაფოდ გამოვასწოროთ მდგომარეობა, მივაღწიოთ გეგმის აუცილებლად შესრულებას.

**ს. მეირკვილაძე**
„კომუნისტის" კორესპონდენტი.

# ფეიქრები მაღალნაყოფიერად მუშაობენ

არჩევნებისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრების გაშლებით თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა წარმატებას აღწევს. ფაბრიკაში მოწინავეა კამვოლური საამქრო, სადაც მუშაობს დეპუტატობის კანდიდატი სტახანოველი მარიამ ივანიძელი. იგი მომსახურებას უწევს ორ მანქანას და დღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

კამვოლურ საამქროში 340 მუშაა. ყველა მათგანი ცდილობს იმუშაოს ისე, როგორც მუშაობს ამხ. ივანიძელი. მისი ყოფილი მოწაფეები—სტახანოველები მ. ზაქარაია, ო. მამაევა, ა. დოლიძე, ა. კაციაშვილი, მ. კოზლოვა და სხვები არჩევნების აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებას გადაჭარბებით ასრულებენ.

კარგად მუშაობს აგრეთვე საამქროს სართავი განყოფილება. აქ იანვრის 25 დღის დავალება 104 პროცენტით შეასრულეს. მრთველი ვერა თავშავაძე ყოველდღიურ დავალებას 130 პროცენტით ასრულებს, გარდა ამისა, მან 15 დღეში 7 მოწაფე მოამზადა. ახლა ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ. მართო ხორგუაშვილი ძაფის კადახვევაზე მუშაობს და აღებულ ვალდებულებას 135 პროცენტით ასრულებს. მრთველი ნ. ზარქუა მუშაობს უწუნოდ. მან გეგმით ყოველდღე უნდა დაართოს 63 კილოგრამი მატყლი, ფაქტიურად 70-80 კილოგრამს ართავს. ნაკისრ ვალდებულებას წარმატებით ასრულებენ აგრეთვე მრთველები თ. გელაშვილი, მ. სვეტენკო, ა. გურასკინა და სხვები.

უკანასკნელ დღეებში დაწინაურდა საქსოვი საამქრო. მრავალდაზგიანი ორდენოსანი ლ. ასათიანი, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა ყოველდღიურად დავალება 136 პროცენტით შეესრულებინა, შესანიშნავად მუშაობს. მაგალითად, 20 იანვარს მან საწარმოო დავალება 178,1 პროცენტით გაანაღდა, 21 იანვარს—162,5, 24 იანვარს—143,2 პროცენტით. მრავალდაზგიანი მქსოველები თ. კვირკველია, ნ. ცირეკიძე, ბ. ეგოროვა, მ. ასტამლინა და ვ. ჩერნიშევა გეგმით უნდა ქსოვდნენ 64 მეტრ მაღალხარისხოვან ქსოვილს, ფაქტიურად კი ქსოვენ 91 მეტრს. ამ საამქროს სტახანოველები ამჟამად ამზადებენ 51 ახალგაზრდა მუშას. 9 თებერვალს ამათგან 30 ახალგაზრდა გადაყვანილი იქნება დამოუკიდებელ სამუშაოზე.

მაუდის საქსოვმა საამქრომ იანვრის 25 დღის დავალება მთლიანად შეასრულა. სტახანოველებმა გ. ბარამიძემ, ვ. ვორონცოვამ და მ. გოლუბნიჩევამ თვიური გეგმები 25 დღეში გადაჭარბებით შეასრულეს.

**ე. თომაშვილი**

# სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ურყევი საფუძველია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ზომების შესახებ" უდიდესი მოვლენა იყო კოლმეურნეობათა ცხოვრებაში. იგი საბჭოთა გლეხობამ მიიღო, როგორც გამოხატულება პარტიისა და მთავრობის ახალი უდიდესი ზრუნვისა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცებისათვის. სოციალისტური მინდვრების მილიონობით მშრომელმა დამკვრელური მუშაობით, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა ვადამდე შესრულებით უპასუხა პარტიისა და მთავრობის დადგენილებას.

კურსკის ოლქის ივანინის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „წითელ ვარსკვლავში" მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა. კოლმეურნეები ერთსულოვნად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. მათ ვალდებულება იკისრეს თვითეულ ჰექტარზე მარცვლეულის ასფუთიანი მოსავალი მოიყვანონ წელს, ხოლო ცალკეულმა მერგოლურებმა გადაწყვიტეს მიიღონ 120 ფუთი ხორბალი და 500 ცენტნერი ჭარხალი.

საამისოდ უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული. თესლი შენახულია და შემოწმებულია გაღივების მხრივ, შეკეთებულია სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მთელ ფართობზე შეკავებულია თოვლი.

კოლმეურნეობის სათესი ფართობი მნიშვნელოვნად გადიდდება კოლმეურნეობისათვის დაბრუნებული მიწით, რომელსაც წინათ სხვა ორგანიზაციები იყენებდნენ.

იზრდება და მტკიცდება სვერდლოვსკის ოლქის ეგორშინის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა. მისმა წარმატებებმა, რომლებზეც ბევრი ილაპარაკეს საერთო საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, სოფელ პოკროვსკისა და მახლობელი სოფლების უკანასკნელი ერთპიროვნული მეურნეობანი მიიზიდა არტელში.

საბჭოთა კავშირის მრავალ რაიონში დაიწყო კოლმეურნეობათა საანგარიშო-საარჩევნო კრებები. მათ წინ უძღვის დიდი მოსამზადებელი მუშაობა. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ადგილობრივ ატარებენ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა უსწრაფესი ლიკვიდაციისაკენ.

გორკის ოლქის კოლმეურნეობებში დამთავრდა მზადება საანგარიშო-საარჩევნო კრებებისათვის. გამგეობებმა შეადგინეს წლიური ანგარიშები, სარევიზიო კომისიებმა რევიზია მოახდინეს. ყველგან გამგეობათა მუშაობის შემოწმებაში და საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცება-განვითარების ღონისძიებათა შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს საკოლმეურნეო აქტივი. იგი ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტების გამოვლინებას და გზადაგზა ასწორებს ამ დარღვევას.

კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში ანგარიშისათვის მზადების დროს გამგეობამ აქტივის დახმარებით გაინაღდა 30.000 მანეთამდე დებიტორული დავალიანება. ამ სახსრებით იძენენ ავტოტრანსპორტს, ცხენებს, არემონტებენ სათბურებს.

პენზის ოლქის ნიჩაევის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „წითელი პარტიზანის" კრებაზე მკვეთრად გააკრიტიკეს კოლმეურნეობის ხელმძღვანელთა მუშაობა. გამგეობა და მისი თავმჯდომარე არ ზრუნავდნენ კოლმეურნეთა საჭიროებისათვის, სისტემატურად არღვევდნენ წესდებას. კრებამ არადამაკმაყოფილებლად სცნო გამგეობის მუშაობა და თანამდებობიდან გადააყენა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. გამგეობის თავმჯდომარედ ერთსულოვნად აირჩიეს სამამულო ომის მონაწილე, ამ არტელის წევრი ივანე მიხეილის-ძე ვოლნოვი.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო წყობილების ურყევი საფუძველია. ციმბირისა და აღმოსავლეთის ყველა მხარესა და ოლქში სოფლის საბჭოებთან მუშაობენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვის შემმოწმებელი კომისიები. მარტო ალტაის მხარეში 900 ასეთი კომისიაა შექმნილი. კოლმეურნეობებს უბრუნებენ დროებითი სარგებლობისათვის უკანონოდ წაღებულ მიწებს. კოლმეურნეობების საზოგადო მიწების დასაბრუნებლად დიდი მუშაობაა გაწეული ზღვისპირეთის მხარეში, სადაც კოლმეურნეობებს 50.000 ჰექტარზე მეტი მიწა დაუბრუნეს.

შემმოწმებელი კომისიების წინადადებით ივანოვოს ოლქის კოლმეურნეობებში ადმინისტრაციული და სამმართველო პერსონალი შემცირებულია 3.600 კაცით. ამან არტელის სახსრების დიდი ეკონომია გამოიწვია. (საკდესი).

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

# თვითმოქმედი ხელოვნების ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი მუშა-მოსამსახურეთა თვითმოქმედი ხელოვნების ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

პროფკავშირულ კლუბებში, კულტურის სასახლეებსა და საწარმოთა წითელ კუთხეებში თვითმოქმედი წრეების მონაწილეთა რიცხვი ამჟამად ერთ მილიონს აღემატება.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირულ ორგანიზაციებს წინადადება მისცა მიაღწიონ იმას, რომ თვითეულ კლუბსა და თვითეულ საწარმოში მუშაობდნენ სხვადასხვაგვარი წრეები, ხელი შეუწყონ თვითმოქმედი თეატრების, სახალხო ინსტრუმენტთა ორკესტრების, სიმფონიური ორკესტრების, შერეული გუნდების, მხატვრული სიტყვის წრეების, სახვითი ხელოვნების, ქორეოგრაფიული კოლექტივების გაფართოებასა და ახლების შექმნას.

1947 წელს ჩატარდება თვითმოქმედი ხელოვნების წრეების ყველა შტატის ხელმძღვანელთა ატესტაცია. გაიხსნება რეჟისორთა, გუნდებისა და ორკესტრების დირიჟორთა კურსები მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორიასთან, ქორეოგრაფიულ და თეატრალურ სასწავლებლებთან. ასეთივე კურსები შეიქმნება ლენინგრადის ოლქში, უკრაინაში და საქართველოში.

წრეების საზოგადოებრივ ხელმძღვანელთათვის მთელი რიგი პროფკავშირები სემინარებს აწყობენ. მიმდინარე წელს შესდგება აგრეთვე თვითმოქმედი ხელოვნების კოლექტივთა რეჟისორების, დირიჟორებისა და ბალეტმეისტერების შემოქმედებითი კონფერენციები.

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 1947 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან ერთად მოაწყოს თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების დათვალიერება, რომელიც საბჭოთა პიესაზე მუშაობას მიეძღვნება. სახვითი ხელოვნებისადმი მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერესის გამო გადაწყდა მოწყობილ იქნას მუშა-მოსამსახურეთა თვითმოქმედი სახვითი ხელოვნების სრულიად საკავშირო გამოფენა. (საკდესი).

# საკავშირო საჭადრაკო პირველობის გათამაშების წინ

**ლენინგრადი**, 29 იანვარი. (საკდესი). 1 თებერვალს პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს კიროვის სახელობის კულტურის სასახლეში დაიწყება სსრ კავშირის საჭადრაკო პირველობის გათამაშების ფინალი. ამ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის უძლიერესი მოჭადრაკეები — მოსკოვის, ლენინგრადისა და თბილისის ნახევარფინალებში გამარჯვებულნი. პერსონალურად მიწვეული არიან გროსმაისტერები ბოტვინიკი, სმისლოვი და კერესი.

ლენინგრადიდან ტურნირში მონაწილეობენ გროსმაისტერები ლევენფიში, ქალაქის ჩემპიონი ტოლუში და ოსტატი კლამანი.

## ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან

### სტალინური პრემიის ლაურეატი

ქალაქ თბილისის კიროვის № 21 საარჩევნო ოლქის პირველი და მეორე უბნის ამომრჩევლები მესამე სახელოსნო სასწავლებლის კლუბში შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს აკაკი ალექსის-ძე ვასაძეს.

ამომრჩეველთა კრება შესავალი სიტყვით გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ლ. შაიშვილმა.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ა. ბერიკაშვილმა ამომრჩევლებს მოუთხრო იმ ღვაწლზე, რაც აკაკი ალექსის-ძე ვასაძეს მიუძღვის ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. ამხ. ვასაძის მიერ შექმნილი სახეები და მისი რეჟისორობით დადგმული სპექტაკლები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებელზე. ამიტომ მიანიჭეს მას სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება და ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატობა.

— აკაკი ალექსის-ძე ვასაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია. ეჭვი არ არის, ჩვენი საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები 9 თებერვალს უკლებლივ მისცემენ მას თავიანთ ხმას,— დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. ბერიკაშვილმა.

ამხ. ა. ვასაძეს ოლქის ამომრჩეველთა სახელით მიესალმნენ სახელოსნო სასწავლებლის სტახანოველი ხელოსანი ე. კვიციანაძე, 35-ე ქალთა საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოსწავლე ნ. ლეჟავა, დიასახლისი ვ. ტერტეროვა, მე-6 სამკერვალო ფაბრიკის სტახანოველი მ. მარგიშვილი და სახელოსნო სასწავლებლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. მოზღოკელი.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ამხ. ა. ა. ვასაძე, რომელმაც მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც მას აღმოუჩინეს და აღუთქვა მათ, რომ გაამართლებს ხალხის ნდობას.

კრების დამთავრების შემდეგ გაიმართა კონცერტი.

### გამოჩენილი მოქანდაკე

ჩხარში, კულტურის სახლში ამომრჩევლებმა შეხვედრა მოუწყეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს—გამოჩენილ ქართველ მოქანდაკეს, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორს, სახალხო მხატვარს იაკობ ივანეს-ძე ნიკოლაძეს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. დ. კაჭკაჭოვმა დამსწრეთ დაწვრილებით გააცნო პროფესორ იაკობ ნიკოლაძის ცხოვრების გზა, მისი დამსახურება ხალხის წინაშე. მან მოუწოდა ამომრჩევლებს 9 თებერვალს ერთსულოვნად მისცენ ხმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს იაკობ ივანეს-ძე ნიკოლაძეს.

სიტყვებით გამოვიდნენ ამომრჩევლები დომნა ბოჭორიშვილი, ნადეჟდა ჯანელიძე, ნიკოლოზ ფანჩულიძე და სხვები.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატობის კანდიდატმა ი. ი. ნიკოლაძემ. მან განაცხადა:

— უდიდეს მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგებო, იმ მაღალი ნდობისათვის, რაც ჩემდამი გამოიჩინეთ, დამასახელეთ რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. 50 წელია, რაც შემოქმედებით მუშაობას ვეწევი, აქედან 25 წელი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. სწორედ ეს წლები, საბჭოთა ხელისუფლების წლები არის ჩემი შემოქმედებითი მუშაობის ყოველმხრივი გაშლის პერიოდი. საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით თართო გასაქანი მისცა მეცნიერებასა და ხელოვნებას. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 71 წლისა ვარ, სტალინური მზრუნველობით აღგზნებული, დიდი ენერგიით ვმუშაობ ჩვენი ხელოვნების განვითარებისათვის, ახალ-ახალი სახეების შესაქმნელად. ის დიდი ნდობა, რაც თქვენ ჩემდამი გამოიჩინეთ დეპუტატობის კანდიდატად ჩემი წამოყენებით, ახალ დამატებით ვალდებულებას მაკისრებს. ენერგიას არ დავზოგავ გავამართლო თქვენი ნდობა, ღირსეული მსახური ვიქნე გმირი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც წინ მიუძღვის ჩვენი ეპოქის დიდი ადამიანი, მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი მეგობარი ამხანაგი სტალინი. გაუმარჯოს ბრძენ სტალინს!

პროფესორ ი. ი. ნიკოლაძის უკანასკნელი სიტყვები მქუხარე, ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა.

### მოწინავე საბჭოთა პოეტი

ყანდაურის ლამაზად მორთულ საკოლმეურნეო კლუბში შეიკრიბნენ კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის“ წევრები. ამომრჩეველთა შეკრება, მიძღვნილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხ. ი. მოსაშვილთან შეხვედრისადმი, გახსნა კაჭრეთის რაიონის ყანდაურის № 93 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. მ. მაჭავარიანმა.

პირველი სიტყვა აიღო მასწავლებელმა მარო საგინაშვილმა, რომელმაც ილაპარაკა ი. ო. მოსაშვილის სამწერლო დამსახურებაზე, მის აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე.

კოლმეურნეობა „გლეხის მარჯვენის“ წევრმა გიორგი ხარებაშვილმა დეპუტატობის კანდიდატთან შეხვედრის აღსანიშნავად კოლმეურნეთა სახელით პირობა დასდო სანიმუშოდ ჩაატაროს საგაზაფხულო ხვნა-თესვა, მოიყვანოს უხვი მოსავალი.

— 9 თებერვალს, — სთქვა შემდეგ მან, — კოლმეურნეები უკლებლივ გამოცხადდებიან საარჩევნო უბანში და ხმას მისცემენ მოწინავე ქართველ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს ამხ. ილო მოსაშვილს.

დეპუტატობის კანდიდატს ამხ. ილო მოსაშვილს შეხვედრა მოუწყეს აგრეთვე ყანდაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ნდობით აღჭურვილმა პირმა ამხ. ივანე ჯიქურაშვილმა ამომრჩევლებს გააცნო ამხ. ი. მოსაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ილაპარაკა მის დამსახურებაზე ქართველი ხალხის წინაშე. შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ნ. ფხალაძე და გ. ფხალაძე. საკუთარი ლექსი წაიკითხა მოსწავლე ჯ. ფხალაძემ.

გულთბილი შეხვედრა მოუწყეს დეპუტატობის კანდიდატს ამხ. ი. მოსაშვილს სოფელ ვერხვიანის კოლმეურნეებმაც.

ამხ. ილო მოსაშვილმა პირობა მისცა ამომრჩევლებს გაამართლოს მათი ნდობა, ღირსეულად ემსახუროს საბჭოთა ხალხს.

### ჩიხელი კოლმეურნე ქალიშვილი

სამხრეთის აღმოსავლეთით პირველი სოფელი ჩიხაა. ჩიხა განთქმულია ბარაქიანი მოსავლით, საუცხოო ბაღ-ვენახებით. აქაურ მევენახეებსა და ღვინის დამყენებლებს არაერთი პრემია მიუღიათ გამოფენებზე.

ჩიხაში ცხოვრობს შრომისმოყვარე, გამრჯე და პატიოსანი კოლმეურნე სიმონ ჭიღლაძე. მის მამაცურ შრომაზე მარტო ისიც მეტყველებს, რომ 1946 წელს 350 შრომადღე გამოიმუშავა.

ქალ-ვაჟი ჰყავს ს. ჭიღლაძეს. ვაჟი უფროსია. იგი სწორედ მაშინ გახდა ჯარისკაცის ასაკისა, როცა ვერაგი მტერი კავკასიონს მოადგა. ოჯახმა ვაჟკაცს ფრონტისაკენ დაულოცა გზა, სამშობლოს დასაცავად გაგზავნა. სახხერელმა დედამ გაიმეორა დიდი პოეტის სიტყვები:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე,
მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს
შენთვის სიკვდილი“...

შეურცხვენლად იბრძოდა ქართველი ვაჟკაცი. მან ასახელა მშობლიური კერა, ჩვენი ქვეყანა. სიმონის ოჯახი ელოდება უფროს შვილს. ბედნიერად დაბრუნება ვუსურვოთ მას საყვარელ ოჯახში...

მეორე შვილი ქალი ჰყავს სიმონს. იგი უმცროსია. გულნარა ჰქვია. 1925 წლის მაისში დაიბადა. შვიდი კლასი დაამთავრა. შემდეგ მშობლებს შეელოდა მუშაობაში. სიმონი ბეჯითი და მუყაითი მუშაკაცია, მაგრამ მას მხარს როდი უგდებს მისი ქალიშვილი. საკმარისია ითქვას, რომ გულნარამ 1945 წელს 201 შრომადღე გამოიმუშავა, ხოლო 1946 წელს—203 შრომადღე. პატრიოტი ქალი ვენახსაც კარგად უვლის და ყანასაც, მაგრამ ყველაზე საპელმოხვეჭილი გახდა, როგორც წარჩინებული მეაბრეშუმე და მყნობელი.

გულნარა ჭიღლაძემ პირველმა ქალიშვილმა სახხერეში გადმოიღო ქისტაურელ მეაბრეშუმეთა გამოცდილება. ფაქიზად და გულმოდგინედ უვლიდა აბრეშუმის ჭიას, და შრომასაც ამაოდ არ ჩაუვლია. გულნარამ 1946 წელს სახელმწიფოს მხოლოდ პირველი ხარისხის პარკი ჩააბარა, დავალება 187 პროცენტით შეასრულა. ასეთი მოსავალი შარშან სახხერეში ბევრ კოლმეურნეს როდი მიუღია.

გულნარას მთელ სოფელში იცნობენ, როგორც საუცხოო და უებრო მყნობელს. მას სათუთი და, რომ იტყვიან, ოქროს ხელი აქვს. მის მიერ დამყნილი ვაზი უსათუოდ გაიხარებს.

სავენახე ნიადაგის მომზადებაშიც ვაჟკაცურად შრომობს ჩიხელი ქალიშვილი — დავალებას 200-300 პროცენტით ასრულებს.

პატიოსანი და თავდადებული შრომისათვის აფასებენ და პატივს სცემენ გულნარა ჭიღლაძეს. სწორედ ამიტომ დააჯილდოეს იგი მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის“. სწორედ ამიტომ აირჩიეს შარშან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების კავშირის საბჭოს № 563 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად.

* * *

ახალი წლის პირველი დღეები... სოფელ ჩიხის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ წევრთა საერთო კრებაა. ექვსასი კოლმეურნე მოსულა აქ. რაღაც არაჩვეულებრივს, რაღაც საინტერესოს მოელიან...

— ფრიად მნიშვნელოვან საქმეზე შევიკრიბეთ, — სთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჭიღლაძემ, — უნდა დავასახელოთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი. უნდა შევარჩიოთ სამშობლოს ერთგული ადამიანი, ის, ვინც თავი გამოიჩინა პატიოსანი და თავდადებული შრომით. მე ვასახელებ გულნარა სიმონის ასულ ჭიღლაძის კანდიდატურას. ამ წინადადებას მქუხარე ტაშით და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ.

სიტყვა მოხუცმა კოლმეურნემ ზოსიმე იაკობაშვილმა აიღო:

— გულნარა დაუზარებელი და შრომისმოყვარე ქალიშვილია, — სთქვა მოხუცმა. — იგი ჩვენი სოფლის სიამაყეა. მხარს ვუჭერ ამ კარგად მოფიქრებულ წინადადებას. გულნარა ჩვენს ნდობას გაამართლებს, არ შეგვარცხვენს.

არგვეთის საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ჩიხელი კოლმეურნეების წინადადებას. № 122 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა გულნარა სიმონის ასულ ჭიღლაძის კანდიდატურა.

9 თებერვალს ოლქის ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას ღირსეულ კანდიდატს. ჩიხელი კოლმეურნე ქალიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იქნება. ასე ფასდება შრომა სტალინურ ეპოქაში.

**პ. ჭიოკაძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

### უხუცესი ამომრჩეველი

სოფელ აგარის (ახალციხის რაიონი) წითელი არმიის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შორის დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობს 112 წლის კოლმეურნე ზაქარია ბესარიონის-ძე ქიმერიძე.

ახალგაზრდობის საუკეთესო წლები ზაქარიამ სხვის კარზე ლუკმა-პურის ძებნას მოანდომა. მან გამოსცადა ბატონყმობის მძიმე ხვედრი და თვითმპყრობელობის სისასტიკე.

— რამდენი დღე და ღამე უფასოდ სხვისთვის მიმუშავია, იმდენი თმაც არ ექნება კაცს თავზე, — ამბობს მოხუცი.

მრავალი უმზეო დღის მნახველს ზაქარია ქიმერიძეს მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ეღირსა ადამიანური ცხოვრება.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, ზაქარია ქიმერიძე უშრომლად ახლაც ვერ ისვენებს. დილით სამუშაოზე გამოსვლას მას ვერავინ ასწრებს. დიდი ხალისით მუშაობს ახალციხის რაიონში ვაზის კულტურის განვითარებისათვის.

ზაქარია ქიმერიძე ტკბილი მოსაუბრეა. მასთან ახალგაზრდები ხშირად იკრიბებიან... მოხუცი მათ მოუთხრობს ძველ უკუღმართ ცხოვრებაზე, რომელიც სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას.

მოხუცი კოლმეურნე ემზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის, ისმენს საუბრებს საარჩევნო დებულებაზე, კონსტიტუციაზე, დეპუტატობის კანდიდატებზე, აინტერესებს საერთაშორისო მდგომარეობა.

— 9 თებერვალს, — სთქვა მოხუცმა, — ჩემს ხმას მივცემ ხალხის რჩეულ შვილს, კოლმეურნე ქალს ელენე ვასილის ასულ მუმლაძეს.

**ნ. ფარჯანაძე**

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

### საარჩევნო უბნები მატარებლებში

თბილის-როსტოვის მატარებელზე მოეწყო საარჩევნო უბანი. საარჩევნო უბანი მოთავსებულია ორ კომფორტაბელურ კუპეში, გაფორმებულია პლაკატებით, ლოზუნგებით, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით.

* * *

საარჩევნო უბანი მოეწყო აგრეთვე თბილისიდან სოჭში მიმავალ დიზელექსპრესზე. საარჩევნო უბანს აქაც ორი კუპე დაეთმო.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის — 9 თებერვლისათვის სპეციალურად მატარებლებისათვის შეიქმნება საუბნო საარჩევნო კომისიები. საუბნო საარჩევნო კომისიები იმუშავებენ სოჭა-თბილის-მოსკოვის და სოჭა-თბილის-როსტოვის მატარებლებზე.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

### გიორგი გრიგოლის-ძე თვალჭრელიძე



ამხ. გ. გ. თვალჭრელიძე დაიბადა 1896 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ პატარა ონში, ღარიბი გლეხის ოჯახში. შრომითი საქმიანობა ადრე დაიწყო. 1917 წელს ფრონტზე შევიდა პარტიის რიგებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამხ. გ. თვალჭრელიძეს უკავია პასუხსაგები თანამდებობანი პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. 1924 წელს გაიგზავნა სვერდლოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა პროფესიულ და საბჭოთა ორგანოებში.

1930 წელს ამხ. გ. თვალჭრელიძე იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკოლეგიის წევრი, 1931 წელს აირჩიეს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველ მდივნად. მომდევნო წლებში მუშაობდა გურჯაანის და მახარაძის რაიკომების მდივნად, ხოლო 1940 წლიდან 1944 წლამდე საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად.

ამჟამად ამხ. გ. თვალჭრელიძე საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტკოლეგიის მდივანია. არის საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი.

ამხ. გ. გ. თვალჭრელიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი ხარისხის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და სამი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. გ. თვალჭრელიძე რეგისტრირებულია მახარაძის რაიონის შემოქმედის № 169 საარჩევნო ოლქში.

### ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე



საბჭოთა გეოლოგიური მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწე ალექსანდრე ილარიონის-ძე ჯანელიძე დაიბადა 1888 წელს. იგი 64 მეცნიერული შრომის ავტორია; მინიჭებული აქვს გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. ამხ. ა. ი. ჯანელიძე არის საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

ამხ. ა. ჯანელიძე 1911 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საშუალო სასწავლებლებში, ხოლო 1924 წლიდან—უმაღლეს სასწავლებლებში. იგი ხელმძღვანელობს გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრებს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამხ. ა. ი. ჯანელიძე არის საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე.

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ამხ. ა. ი. ჯანელიძე აქტიურ მონაწილეობას იღებს. არის საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და პრეზიდიუმის წევრი. 1942-დან 1945 წლამდე ამხ. ა. ჯანელიძე მუშაობდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ა. ი. ჯანელიძე რეგისტრირებულია ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს № 141 საარჩევნო ოლქში.

### ვერა ფროლის ასული კალმიკოვა



ამხ. ვერა კალმიკოვა დაიბადა 1921 წელს ბოგდანოვკის რაიონის სოფელ სპასოვკაში, გლეხის ოჯახში. 1937 წლიდან ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ წევრია. ამჟამად კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმაში მწველავად მუშაობს. მუდამ გადამეტებით ასრულებს წველის გეგმას. 1946 წლის 9 თვის განმავლობაში 313 შრომადღე გამოიმუშავა. კარგად უვლის პირუტყვს და ნამატსაც უკლებლივ ინარჩუნებს.

ადგილობრივ მოსახლეობაში ამხ. ვ. კალმიკოვა სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით, რაც თავისი პატიოსანი და ენერგიული შრომით მოიპოვა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. ფ. კალმიკოვა რეგისტრაციაში გაატარა ბოგდანოვკის № 66 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

### ნიკოლოზ არკადის-ძე ოვანოვი



ამხ. ნიკოლოზ არკადის-ძე ოვანოვი დაიბადა 1901 წელს სტალინირში. 1930 წელს შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში. 1933 წლიდან ხელმძღვანელ საბჭოთა და პარტიულ სამუშაოზეა. წლების განმავლობაში იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე, შემდეგ მშრომელთა დეპუტატების ალბულაღის რაიონული საბჭოს აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგე. მუშაობდა მანგლისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, მშრომელთა დეპუტატების თეთრი წყაროს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. 1943 წელს აირჩიეს საქართველოს კ. პ. (ბ) ბოგდანოვკის რაიკომის პირველ მდივნად.

ამხ. ოვანოვი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და 2 მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ნ. ა. ოვანოვი რეგისტრირებულია ბოგდანოვკის რაიონის სათხის № 67 საარჩევნო ოლქში.




ქ. თბილისის ჩელიუსკინელთა № 8 საარჩევნო ოლქის № 2 საარჩევნო უბანი. კაბინები, სადაც იწარმოებს ხმის მიცემა.

ფოტო ელ. გინზბურგისა და რ. აკოფოვისა

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

## მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის მიხეილ დოროთეს-ძე წინამძღვრიშვილის სახელი კარგად არის ცნობილი ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც დიდი სპეციალისტისა და საზოგადო მოღვაწისა.

ამხ. მ. წინამძღვრიშვილი დაიბადა 1882 წელს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ მიიღო უმაღლესი სამედიცინო განათლება. 1910 წლიდან მუშაობს ექიმად. 1924 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ხოლო შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორია და დაუღალავად ზრდის ახალგაზრდა ექიმთა კადრებს.

აკადემიკოს მ. წინამძღვრიშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი საგულისხმო ნაშრომი თერაპიის დარგში. 1943 წელს მას საბჭოთა მედიცინის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ამხ. მ. წინამძღვრიშვილი ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური და ექსპერიმენტალური კარდიოლოგიის ინსტიტუტს.

აკადემიკოსი წინამძღვრიშვილი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის" და სამკერდე ნიშნით „ჯანმრთელობის დაცვის წარჩინებული".

ამხ. მ. წინამძღვრიშვილი არის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. მ. დ. წინამძღვრიშვილი რეგისტრაციაში გაატარა ქ. თბილისის სტუდენტთა № 26 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## ოთარ გრიგოლის-ძე ჩეჩელაშვილი



საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის კაპიტანი ოთარ გრიგოლის-ძე ჩეჩელაშვილი დაიბადა 1923 წელს ქ. თბილისში. სამხედრო განათლება მიიღო სტალინის სახელობის სამხედრო საზღვაო საავიაციო სასწავლებელში.

ამხ. ო. გ. ჩეჩელაშვილმა დიდი სამამულო ომის გმირული ბრძოლების ისტორიაში მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩასწერა. მას 1942 წლის თებერვლიდან 1945 წლის მაისამდე 280 წარმატებითი საბრძოლო გაფრენა აქვს. საჰაერო ბრძოლების დროს პირადად ჩამოაგდო მტრის 6 თვითმფრინავი, მოსპო 34 ტანკი, 278 ავტომანქანა, 18 ბატარია, 4 კარჭაპი, 49 რკინიგზის ვაგონი, 700 ჯარისკაცი და ოფიცერი და სხვა.

ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა საბჭოთა კავშირის უმაღლესი მთავარსარდლის გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის 26 მადლობა დაიმსახურა. იგი დაჯილდოებულია 12 ორდენითა და მედლით.

ახალგაზრდა საბჭოთა ოფიცერმა ამხ. ო. ჩეჩელაშვილმა მრავალი ათეული საბჭოთა მფრინავი აღზარდა. თავის მდიდარ საბრძოლო გამოცდილებას უზიარებს წითელი არმიის ახალგაზრდა მებრძოლებს და წვრთნის მათ სოციალისტური სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებით. ამხ. ო. ჩეჩელაშვილი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1944 წლიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ო. გ. ჩეჩელაშვილი რეგისტრაციაში გაატარა ქ. თბილისის კალინინის № 13 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## კონსტანტინე მიხეილის-ძე თარგამაძე



საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი კონსტანტინე მიხეილის-ძე თარგამაძე დაიბადა 1910 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ნიგოზზღვაში, გლეხის ოჯახში. შრომითი საქმიანობა 16 წლიდან დაიწყო.

1930 წელს ამხ. კ. მ. თარგამაძე შევიდა საკავშირო კ. პ. (ბ) რიგებში.

1931 წელს იგი არის კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგაც სწავლა დაიწყო თბილისის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში.

1937 წლიდან ამხ. კ. მ. თარგამაძე ხელმძღვანელ სამუშაოზეა საბჭოთა ორგანოებში — მუშაობს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, შემდეგ თავმჯდომარედ, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახების სახელმწიფო უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო მოწყობის სამმართველოს უფროსად. 1946 წლის სექტემბერში ამხ. კ. მ. თარგამაძე დაინიშნა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრად.

ამხ. კ. მ. თარგამაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ამხ. კ. მ. თარგამაძე არის საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრი, საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. კ. მ. თარგამაძე რეგისტრაციაში გაატარა ყვარლის რაიონის ახალსოფლის № 103 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## პავლე ივანეს-ძე ეფიმოვი



ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი გენერალ-მაიორი პ. ი. ეფიმოვი დაიბადა 1906 წელს გორკის ოლქში, მუშის ოჯახში. შრომითი საქმიანობა დაიწყო თხუთმეტი წლის მოზარდმა, როცა მუშად შევიდა მეტალურგიულ ქარხანაში. აქ იგი 1923 წელს კომკავშირში მიიღეს, ხოლო ორი წლის შემდეგ პარტიაში შევიდა.

1927 წელს ამხ. პ. ი. ეფიმოვი ხელმძღვანელ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზეა გორკის მხარეში: საკავშირო ალკკ რაიონული, სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდივნად, პარტიის რაიკომის მდივნად.

1932 წელს ამხ. ეფიმოვი გაიგზავნა პოლიტიკურ სამუშაოზე არმიაში, სადაც ეჭირა კავშირგაბმულობის ცალკე ბატალიონის კომისრის და დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსი ინსტრუქტორის თანამდებობანი. 1938 წელს ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის დამთავრების შემდეგ ამხ. ეფიმოვი მუშაობდა ბელორუსიის განსაკუთრებულ სამხედრო ოლქში — ოლქის პოლიტსამმართველოს განყოფილების უფროსად, ხოლო შემდეგ ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილედ.

თეთრფინელებთან ბრძოლების პერიოდში ამხ. ეფიმოვი ცალკე არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო, ხოლო შემდეგ შუა აზიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსი. 1942 წლის მარტში ამხ. პ. ეფიმოვი დაინიშნა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრად.

გენერალ-მაიორი პ. ი. ეფიმოვი დაჯილდოებულია ლენინისა და წითელი დროშის ორდენებით და სამი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. პ. ი. ეფიმოვი რეგისტრაციაში გაატარა ქალაქ თბილისის კახეთის № 32 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## ივანე სვიმონის-ძე ფრანგულიანი



ამხ. ივანე სვიმონის-ძე ფრანგულიანი დაიბადა 1887 წელს. სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში და შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ მოწაფეობის და სტუდენტობის დროს მუშაობდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. პირველი იმპერიალისტური ომის დროს არმიაში ექიმად იყო და რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა ჯარისკაცთა შორის. სამოქალაქო ომის მონაწილეა. იბრძოდა სამხრეთის ფრონტებზე. ხელმძღვანელობდა წითელ პარტიზანთა ნაწილების სანიტარულ რაზმს.

1918 წელს ამხ. ი. ს. ფრანგულიანი დაინიშნა რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის მთავარ სანიტარულ ინსპექტორად. 1921 წლიდან 1936 წლამდე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრია და ხელმძღვანელობს სპეციალურ სამკურნალო კომისიას. 1936 წლიდან საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის, ხოლო შემდეგ მინისტრის მოადგილედ მუშაობს.

1938 წელს ამხ. ი. ს. ფრანგულიანი აირჩიეს საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ის საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის სარევიზიო კომისიის წევრია და საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ბერიას რაიკომის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

ამხ. ფრანგულიანი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის და „საპატიო ნიშნის" ორდენებით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ი. ს. ფრანგულიანი რეგისტრაციაში გაატარა წალკის რაიონის კუშჩის № 72 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## მიხეილ ვასილის-ძე კვარაცხელია



ამხ. მ. ვ. კვარაცხელია დაიბადა 1910 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუში, მასწავლებლის ოჯახში. ზუგდიდის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგურის მებაღედ. შემდეგ მიიღო უმაღლესი აგრონომიული განათლება და 1932 წლიდან მუშაობდა წალენჯიხის რაისაბჭოს აღმასკომში, ჯერ მიწათმოქმედების განყოფილების უფროს აგრონომად, მერმე ამავე განყოფილების გამგედ.

1941 წლის ბოლოს ამხ. მ. კვარაცხელია გაგზავნილ იქნა ხობის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების უფროსად. პოლიტგანყოფილების ლიკვიდაციის შემდეგ მუშაობს მშრომელთა დეპუტატების ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ. 1943 წლის დეკემბრიდან იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორგბიუროს თავმჯდომარის მოადგილე და მიწგანის გამგე ქლუხორის რაიონში, შემდეგ პარტიის ქლუხორის რაიკომის მეორე მდივანი.

1945 წელს ამხ. მ. კვარაცხელია აირჩიეს საქართველოს კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც დღემდე მუშაობს.

ამხ. მ. ვ. კვარაცხელია კომკავშირის წევრია 1925 წლიდან, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. მ. ვ. კვარაცხელია რეგისტრაციაში გაატარა წალენჯიხის № 189 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## აპოლონ ალექსანდრეს-ძე ჭიჭინაძე



ამხ. აპოლონ ალექსანდრეს-ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1906 წელს ამბროლაურის რაიონში. სოფლად ეწეოდა ფიზიკურ შრომას. 1929 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში. 1931 წელს საკავშირო კ. პ. (ბ) წევრად მიიღეს. ამავე წელს შევიდა მუშფაკში. მისი დამთავრების შემდეგ თბილისის სატყეო-საინჟინრო ინსტიტუტში სწავლობდა. შემდეგ მუშაობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების ინსტრუქტორად. 1940 წელს აირჩიეს საქართველოს კ. პ. (ბ) ამბროლაურის რაიკომის პირველ მდივნად, სადაც დღემდე მუშაობს.

ამხ. ა. ჭიჭინაძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით, მედლებით „კავკასიის დაცვისათვის" და „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ა. ა. ჭიჭინაძე რეგისტრაციაში გაატარა ამბროლაურის რაიონის ჭელიაღელის № 142 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## მარგარიტა ივანეს ასული კიკვაძე



წყალტუბოს რაიონში ყველასათვის ცნობილია მარგარიტა ივანეს ასულ კიკვაძის სახელი. იგი სოფელ ფარცხანაყანევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმეა და სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმას. 1945 წელს მან სახელმწიფოს ჩააბარა 37,6 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და გეგმა 162 პროცენტით შეასრულა, ხოლო 1946 წელს მოიყვანა 53,5 კილოგრამი პარკი, რაც გეგმის 201,9 პროცენტს შეადგენს. თავისი სტახანოვური მუშაობით პატრიოტმა კოლმეურნემ 1946 წლის 10 თვის განმავლობაში 172 შრომადღე გამოიმუშავა.

ამხ. მ. ი. კიკვაძე დაიბადა 1920 წელს. 1938 წლიდან კოლმეურნეობის წევრია. არის აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი. დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში. დაჯილდოებულია მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. მ. ი. კიკვაძე რეგისტრაციაში გაატარა წყალტუბოს რაიონის ფარცხანაყანევის № 136 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## მაჰმუდ ყული ოღლი ყულიევი



ამხ. მაჰმუდ ყული ოღლი ყულიევი დაიბადა 1910 წელს. 1939 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია. ამავე წელს დაინიშნა პროკურორის თანამდებობაზე ბოლნისის რაიონში. იყო საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მეორე მდივანი, ხოლო 1942 წლიდან მუშაობს მშრომელთა დეპუტატების ბოლნისის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

ამხ. ყულიევი ენერგიული, დისციპლინიანი მუშაკია. არის საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის წევრი. თავისი ენერგიული მუშაობით მან ავტორიტეტი დაიმსახურა ადგილობრივ მოსახლეობაში. დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. მ. ყ. ყულიევი რეგისტრაციაში გაატარა ბოლნისის რაიონის იმირასანის № 77 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

## ვლადიმერ დიმიტრის-ძე კობახიძე



ამხ. ვ. კობახიძე დაიბადა 1903 წელს. 1932 წელს დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტი. შემდეგ 1934 წლამდე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მეცხოველეობის სამმართველოს. 1943 წლიდან 1944 წლამდე მუშაობდა საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილედ.

ამხ. ვ. კობახიძე კომკავშირში შევიდა 1919 წელს და არალეგალურად მუშაობდა საქართველოში მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ. 1930 წლიდან იგი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია.

1944 წელს ამხ. ვ. კობახიძე არჩეულ იქნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის პირველ მდივნად და დღემდე ამ პოსტზე მუშაობს.

ამხ. ვ. კობახიძე დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის ორდენებით და სამი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ვ. დ. კობახიძე რეგისტრირებულია თბილისის რაიონის ავჭალის № 35 საარჩევნო ოლქში.

## ალექსანდრე ტიგრანის-ძე ცატუროვი



ამხ. ალექსანდრე ტიგრანის-ძე ცატუროვი მოწინავე საბჭოთა ინჟინერია. დაიბადა 1902 წელს. 1921-დან 1923 წლამდე მუშაობს საგანგებო კომისიის ორგანოებში. 1930 წლიდან, მოსკოვის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობს ამიერკავკასიის რკინიგზაზე ჯერ გზის უბნის უფროსის თანაშემწედ ნავთლუღში, ხოლო შემდეგ III სამშენებლო რაიონის სამუშაოთა მწარმოებლად. 1930 წლის ნოემბერში გადაიყვანეს ამიერკავკასიის რკინიგზის ახალ მშენებლობაზე, სადაც მას სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. 1940 წლიდან დღემდე ამ მშენებლობის უფროსია.

ამხ. ა. ცატუროვი საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია 1928 წლიდან. ის არის საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის წევრი და საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამხ. ა. ცატუროვი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. ა. ტ. ცატუროვი რეგისტრირებულია გაგრის № 215 საარჩევნო ოლქში.

## გიორგი ვასილის-ძე კირვალიძე



ამხ. გ. ვ. კირვალიძე დაიბადა 1906 წელს მუშის ოჯახში. 1920 წელს დამხმარე მუშად მოეწყო მშენებლობაზე. 1923 წელს მუშაობა დაიწყო თბილისის თამბაქოს პირველ ფაბრიკაში, სადაც აითვისა მექანიკოსის კვალიფიკაცია. 1927 წლიდან იმყოფებოდა სამეურნეო, კომკავშირულ, საბჭოთა სამუშაოებზე, ხოლო 1935 წლიდან პარტიულ სამუშაოზეა.

1937 წელს ამხ. გ. კირვალიძე აირჩიეს საქართველოს კ. პ. (ბ) ახალციხის რაიკომის მდივნად, სადაც დღემდე მუშაობს.

ამხ. გ. ვ. კირვალიძე 1929 წლიდან საკავშირო კ. პ. (ბ) წევრია. 1938 წელს აირჩიეს საქართველოს სს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. იგი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატია.

ამხ. გ. კირვალიძე დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის, სამამულო ომის II ხარისხის და წითელი ვარსკვლავის ორდენებით და ორი მედლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ამხ. გ. ვ. კირვალიძე რეგისტრირებულია ახალციხის № 57 საქალაქო საარჩევნო ოლქში.

# თავდაცვა-ავიაქიმის 20 წელი

20 წელი შეუსრულდა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციას. თავისი არსებობის მანძილზე მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში. თავდაცვა-ავიაქიმმა დიდი მუშაობა გასწია მშრომელთა ფართო მასებში სამხედრო ცოდნის გავრცელებისათვის.

მთელი საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმელებთან ერთად სერიოზული წარმატებები მოიპოვეს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმაც. ისინი წლების განმავლობაში უნარიანად ეწეოდნენ თავდაცვითმასობრივ მუშაობას, ხელს უწყობდნენ საავიაციო და სასროლო სპორტის განვითარებას, ფართოდავრცელებდნენ სამხედრო ტექნიკურ ცოდნას მოსახლეობაში.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვების საქმეში. ომის წლებში თავდაცვა-ავიაქიმმა დედა-სამშობლოს ათეულ ათასობით მოუმზადა მსროლელთა, მეკავშირეთა, კავალერისტთა და პარაშუტისტთა კადრები. თავდაცვა-ავიაქიმელებმა საბრძოლო თვითმფრინავებისა და ტანკების ასაგებ ფონდში შეიტანეს 2.639.720 მანეთი, რითაც ამხანაგ სტალინის მადლობა დაიმსახურეს. თავდაცვა-ავიაქიმელებმა ფრონტზე გაგზავნეს 16.000-ზე მეტი ამანათი, ათეულ ათასობით ცალი თბილი ტანსაცმელი. ისინი ზრუნავდნენ ფრონტელთა ოჯახებისათვის.

სამამულო ომის წლებში თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა რაოდენობა განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და საწარმო-დაწესებულებაში შეიქმნა თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციები. თუ სამამულო ომის დაწყებისას საქართველოში ითვლებოდა თავდაცვა-ავიაქიმის 8.385 პირველადი ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებდნენ 237.292 წევრს, ომის დამთავრებისათვის პირველად ორგანიზაციათა რიცხვი 10.483-მდე ავიდა, ხოლო წევრთა რაოდენობა თითქმის ერთნახევარჯერ გაიზარდა.

მართალია, თავდაცვა-ავიაქიმის მრავალი კვალიფიციური მუშაკი ფრონტზე გაიგზავნა, მაგრამ ისინი შესცვალეს ახალგაზრდა კადრებმა, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველმა დაამთავრა საჰაერო-ქიმიური თავდაცვის ნიშანზე მოსახლეობის საყოველთაო-სავალდებულო მომზადება.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები როგორც წინათ ისე ამჟამადაც სისტემატურად აწყობენ ტაქტიკურ ვარჯიშებს, სწავლობენ იარაღსა და საჭურველს. მრავალმა თავდაცვა-ავიაქიმელმა წარმოებისაგან მოუწყვეტლად მიიღო დაწყებითი საბრძოლო მომზადება. ამ მხრივ კარგად არის დაყენებული საქმე ქალაქ თბილისში, ქუთაისში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბორჯომის, ზესტაფონის, ქუთაისის, სამტრედიის, სიღნაღის რაიონებში. გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციის ქვეგანაყოფის მეთაურ-ინსტრუქტორმა ამხ. ჩხეტიამ 132 მსროლელი, 30 ტანკგამანადგურებელი და 58 მეავტომატე მოამზადა. მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების სასოფლო საბჭოსთან არსებულმა თავდაცვა-ავიაქიმის პირველადმა ორგანიზაციამ, რომელსაც სამამულო ომის მონაწილე ამხ. ლ. ბუაძე ხელმძღვანელობს, მოკლე დროში მოამზადა 50-ზე მეტი მებრძოლი. თელავის რაიონის სოფელ შალაურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში სამამულო ომის მონაწილემ უფროსმა სერჟანტმა ე. გაგნიძემ 30 ცხენოსანი მეომარი მოამზადა. მასების საბრძოლო მომზადების საქმეში ასევე კარგი მაჩვენებლები აქვთ თავდაცვა-ავიაქიმის მთელ რიგ სხვა პირველად ორგანიზაციებს.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები ამაყობენ იმით, რომ მათ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს მისცეს ათასობით მომზადებული ვაჟკაცი, რომლებმაც თავი ისახელეს პირსისხლიან ჰიტლერელთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში. საკმარისია აღვნიშნოთ მარტო ის ფაქტი, რომ საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებში აღზრდილმა 12 მებრძოლმა საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება დაიმსახურა. მათ შორის არიან ო. ჩიჩელაშვილი და დ. თავაძე, გ. ინასარიძე და ვ. ჩოჩიევი, ს. კობლოვი და კ. ტყაბლაძე, მ. ქანთარია და ვ. კვაჭანტირაძე. სოხუმის აეროკლუბში აღიზარდა საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ვ. პოპკოვი.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციის ნაყოფიერ მუშაობას მოწმობს ისიც, რომ როგორც დიდი სამამულო ომის წლებში, ისე მის შემდეგ, სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურმა საბჭომ მას არაერთხელ მიანიჭა გარდამავალი წითელი დროშა. 1939 წლიდან დღემდე სსრ კავშირის რესპუბლიკებს შორის ჩატარებულ საჰაერო-ქიმიურ თავდაცვით შეჯიბრებებში ჩვენი რესპუბლიკა ყოველწლიურად გამარჯვებული გამოდის.

ყველა ეს მიღწევები მოპოვებულია საქართველოს პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

ჩვენ არ ვკმაყოფილდებით მიღწეულით. საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების წინაშე სერიოზული ამოცანები დგას. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა მივაღწიოთ თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების შემდგომ განმტკიცებას, განსაკუთრებით სოფლად, სადაც დიდი შესაძლებლობაა საყოველთაო-სამხედრო სწავლების გასაჩაღებლად. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობაში საჭიროა განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს ტექნიკური ცოდნის პროპაგანდას, საავტომობილო და სატრაქტორო საქმის შესწავლას. უნდა ავამაღლოთ სამხედრო ცოდნის პროპაგანდის ხარისხი, კიდევ უფრო განვავითაროთ სასროლო და საფრენოსნო სპორტი.

თავდაცვა-ავიაქიმის არსებობის 20 წლისთავს ჩვენი ორგანიზაციები აღნიშნავენ ღირსშესანიშნავ მომენტში, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაში ჩვენი ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ. მრავალი თავდაცვა-ავიაქიმელი არჩეულია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში, ეწევა მგზნებარე აგიტაციას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატების სასარგებლოდ.

ეჭვი არ არის, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები კიდევ უფრო გააუმჯობესებენ თავიანთ მუშაობას ახალ ხუთწლედში და თვალსაჩინო წვლილს შეიტანენ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და აყვავების საქმეში.

**მაიორი ა. მარლანია**
საქართველოს სსრ თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე

## თავდაცვა-ავიაქიმის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

დღეს, 31 იანვარს, საღამოს 7 საათზე, მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოწვეულია თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი თავდაცვა-ავიაქიმის 20 წლისთავისადმი.

მოხსენებას თემაზე: „თავდაცვა-ავიაქიმის 20 წელი" გააკეთებს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე მაიორი ა. მარლანია.

საზეიმო სხდომის შემდეგ ნაჩვენები იქნება პიესა „ვის ემორჩილება დრო".

## ახალი მაღაზიები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად, ცხაკაიას რაიკოოპკავშირის გამგეობამ ქალაქში გახსნა 4 მაღაზია, მათ შორის—2 სასურსათო.

მაღაზიები სისტემატურად აწვდიან მომხმარებლებს სხვადასხვა პროდუქტებს: ხორცს, ბოსტნეულს, ხილს და სხვ.

უახლოეს ხანში რაიკოოპკავშირი გახსნის ჰურჭლეულის, პარფიუმერიისა და ტრიკოტაჟის მაღაზიებს.

**გ. მილიუტინი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## თოვლის შეკავება ყირიმის მინდვრებზე

**სიმფეროპოლი**, 30 იანვარი. (საკდესი). ყირიმში დიდი თოვლი მოვიდა. თოვლის სიღრმე ალაგ-ალაგ 40 და მეტ სანტიმეტრს აღწევს.

ათასობით კოლმეურნე გავიდა მინდვრად საშემოდგომო ნათესებზე თოვლის შესაკავებლად. აზოვის რაიონის ვოროშილოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელში დაამზადეს სპეციალური ფარები, რომლებიც რგოლებს დროდადრო ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვთ და ცდილობენ თანაბრად შეინარჩუნონ თოვლი მთელ ნაკვეთზე.

ამ საქმეში დიდ წარმატებას მიაღწიეს კრასნოგვარდეისკის რაიონის კოლმეურნეობებმა. თოვლის შეკავების სამუშაო მათ საშემოდგომო ნათესების მთელ ფართობზე ჩაატარეს. სასოფლო-სამეურნეო არტელ „ბორბაში" თოვლს სატკეპნებით ტკეპნიან, და ქარი თოვლს ვეღარ იტაცებს.

# პოლონეთის სეიმის არჩევნების შემდეგ

**ვარშავა**, 29 იანვარი. (საკდესი). ორი ძირითადი მოვლენა განსაზღვრავს დღევანდელ პოლონეთის შინაპოლიტიკურ ცხოვრებას: სეიმის არჩევნებში დემოკრატიული პარტიებისა და პროფკავშირების ბლოკის გამარჯვება და სეიმის პირველი სესიის მოახლოება.

არჩევნების დღიდან თუმცა უკვე ცხრა დღე გავიდა, მაგრამ ყველგან, ქალაქებსა, სოფლებსა და დაბებში იმართება არჩევნებში დემოკრატიული ბლოკის გამარჯვებისადმი მიძღვნილი მიტინგები და კრებები. კრებებზე გამომსვლელნი სურვილებს, რომლებიც დეპუტატებისათვის მიცემული განაწესივით გაისმის. ეს უმთავრესად ეხება მოთხოვნას გაუფრთხილდნენ პოლონეთის დემოკრატიის მონაპოვრებს, სასტიკად დაიცვან პოლონეთის სუვერენიტეტი უცხოელი წრეების ყოველგვარი ჩარევისაგან, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ნებასურვილი მოახვიონ თავს პოლონეთს, უზრუნველყონ პოლონეთის უშიშროება გერმანიის აგრესიისაგან და რაც შეიძლება სწრაფად აღადგინონ და ეკონომიურად აითვისონ დასავლეთის ტერიტორიები.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე პოლონეთის მთავრობამ და პირადად პრეზიდენტმა ბერუტმა ამოცანად დასახეს სეიმის პირველი სხდომისათვის აღედგინათ ოკუპანტების მიერ დანგრეული სეიმის შენობა. პოლონელმა მუშებმა უდროისად მოკლე ხანში შეასრულეს ეს დავალება. სეიმის შენობა მზად არის.

პირველი სესიის წინ პარტიების საქმიანობას გაზრდილი აქტივობა ახასიათებს.

როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, პოლონეთის მუშათა პარტია და პოლონეთის სოციალისტური პარტია, რომლებიც ნოემბრის შეთანხმების საფუძველზე წარმატებით თანამშრომლობდნენ არჩევნების პერიოდში, ამჟამად ურთიერთ შორის ათანხმებენ იმ საკითხებს, რომლებსაც ისინი სეიმის ახლო სესიაზე დააყენებენ. მოიწყობა დემოკრატიული ბლოკის შემადგენლობაში შემავალი ოთხი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელთა თათბირი. როგორც ცნობილია, ამ ბლოკმა გადაწყვეტილება მიიღო ერთად გამოსულიყო არა მარტო არჩევნების პერიოდში, არამედ შემდეგშიაც.

დიდი გამოცოცხლება ემჩნევა პარტიებს „სტრონიცტვო პრაცის" და პსლ—„ნოვე ვიზვოლენიეს" რიგებს.

გარკვეული ჯგუფები გამოდიან მიკოლაიჩიკის პარტიიდან — „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვედან" და „სტრონიცტვო პრაცის" უერთდებიან.

იმის შემდეგ, რომ „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვემ" არჩევნებში დამარცხება განიცადა და გრძელდება წევრთა გამოსვლა ამ პარტიიდან, პარტიის ხელმძღვანელი წრეები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს" მთავარი აღმასრულებელი კომიტეტის ორდღიან თათბირს, იმის გამო, რომ თავი იჩინა დიდმა წინააღმდეგობებმა პოლიტიკური სიტუაციის შეფასებისა და პარტიის შემდგომი ტაქტიკის საკითხში, არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია და გადამწყვეტი სიტყვა დაუთმო „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს" მთავარ საბჭოს, რომელიც 1 თებერვალს იქნება მოწვეული. მთავარ აღმასრულებელ კომიტეტში ძირითად უთანხმოებას ადგილი ჰქონდა მიკოლაიჩიკსა და „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს" მთელ რიგ მოღვაწეებს შორის, რომლებიც მასთან ყველაზე მეტად არიან დაახლოებულნი. კერძოდ, შემთხვევითად როდი სთვლიან იმას, რომ „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს" მთავარი აღმასრულებელი კომიტეტის ორმა წევრმა — მინისტრებმა კერნიკმა და ვიცეკმა გაზეთ „ბლოსკე სკრატში" მოათავსეს სტატია, რომელშიც, ანალიზს უკეთებენ რა შექმნილ სიტუაციას, აყენებენ გლეხთა მოძრაობის ერთიანობის საკითხს. ამ სტატიის ავტორები რჩევას იძლევიან, კერძოდ, გადაისინჯოს სოციალისტებისა და კომუნისტებისადმი დამოკიდებულება.

„პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს" შინაგანი მდგომარეობის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს" ისტორიაში პირველად მთავარი საბჭოს სხდომაზე პარტიის თავმჯდომარის მიკოლაიჩიკის პოლიტიკურ მოხსენებასთან ერთად მოსმენილ იქნება პოლიტიკური თანამოხსენება.

## პოლონეთის არალეგალური ორგანიზაციების ტერორისტული აქტები

**ვარშავა**, 29 იანვარი. (საკდესი). ამ დღეებში კრაკოვის ერთ-ერთ რესტორანში ოთხმა სტუდენტმა, რომლებიც ტერორისტულ არალეგალურ ორგანიზაციებს ეკუთვნიან, ტყვიით მოჰკლეს მილიციის პირველი განყოფილების უფროსის მოადგილე და მძიმედ დასჭრეს ამავე განყოფილების ინსპექტორი.

გაზეთები იუწყებიან პოლონეთის მუშათა პარტიის ახალგაზრდობის ორგანიზაციის („ახალგაზრდათა ბრძოლის კავშირი") თვალსაჩინო მოღვაწის მხეცურად მოკვლის შესახებ პოზნანში. მკვლელობა ჩაიდინა გიმნაზიელთა ჯგუფმა, რომელნიც არალეგალურ ტერორისტულ ორგანიზაციას ეკუთვნიან. ჯგუფში შედიოდნენ „პოლსკე სტრონიცტვო ლუდოვეს" წევრები.

ამ ტერორისტულმა აქტებმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვიეს პოლონეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეებში. მსხვერპლთა დაკრძალვამ მიიღო სახე მოსახლეობის მძლავრი დემონსტრაციისა განადგურებელ ტერორისტული იატაკქვეშეთის საზიზღარი საქმიანობის წინააღმდეგ, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუყრია იარაღი.

## გაზეთი „ბორბა" ავსტრიაში ფაშისტების მფარველობის შესახებ

**ბელგრადი**, 28 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ბორბამ" გამოაქვეყნა თავისი ვენელი კორესპონდენტის ცნობა, რომელიც სწერს, რომ ახლანდელი ავსტრიის მთავრობის ზოგი მინისტრები და სტატს-მდივნები, როგორიც არიან კრაუსლანდი, გრაფი და სხვები „ყოველგვარ დახმარებას უწევენ ნაცისტ დამნაშავეებს, ეხმარებიან მათ დაიმალონ და გაძვრნენ ავსტრიის ეკონომიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კერძოდ, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ შტირიაში, ზალცბურგსა და ავსტრიის სხვა ოლქებში ახლაც ჰიტლერელთა დიდი რაოდენობა იმყოფება პოლიციისა და ჟანდარმერიის სამსახურში და ხშირად მათ ყველაზე მეტად პასუხსაგები პოსტები უკავიათ.

ავსტრიის სამრეწველო მაგნატებმა, რომლებსაც ჰიტლერულ ეკონომიკაში ხელმძღვანელი პოსტები ეკავათ, დღემდე შეინარჩუნეს პასუხსაგები პოსტები ავსტრიის დასავლეთ და სამხრეთ რაიონების ეკონომიკაში.

„ავსტრიელი ნაცისტებისათვის ნამდვილი სამოთხეა კარინტია,—განაგრძობს კორესპონდენტი.—პოლიციისა და ჟანდარმერიის ყველაზე დაბალი ორგანოებიდან, პროვინციული მთავრობის საზოგადოებრივი უშიშროების სამმართველომდე ყველაზე პასუხსაგები ადგილები უკავიათ ნაცისტებს, ყოფილ გერმანელ ოფიცრებსა და სხვა რეაქციონერებს. საზოგადოებრივი უშიშროების სამმართველოს დირექტორი მტრისერი ჰიტლერული არმიის პოდპოლკოვნიკი იყო. ნაცისტმა დამნაშავემ მაიორმა ედგარდ ეცმანმა, ჰიტლერული არმიის ოფიცრად ყოფნისას „სახელი გაითქვა" როგორც „პარტიზანებზე მონადირემ". ახლა მას საკომანდო პოსტი უკავია კარინტიის ჟანდარმთა სამმართველოში. ხელმძღვანელი სამეურნეო პოსტები კარინტიაში აგრეთვე მნიშვნელოვან წილად ნაცისტებს უკავიათ. კერძოდ, სავაჭრო პალატის თავმჯდომარედ არის რაპაცი, რომელიც ნაცისტური პარტიის წევრი იყო. მაგრამ ავსტრიის მთავრობამ მათ მისცა „პოლიტიკურად კეთილსაიმედო პირის" მოწმობა.

## სირიის მოთხოვნები თურქეთისადმი

**ლონდონი**, 28 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, სირიის პრემიერ-მინისტრმა ჯამილ მარდამ-ბეიმ შეატყობინა ინგლისის საქმეთა რწმუნებულს, რომ სირიის მთავრობამ გადაწყვიტა „სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციის" განსახილველად დააყენოს თავისი დავა თურქეთთან ალექსანდრეტის სანჯაყის შესახებ.

საერთაშორისო ორგანიზაცია არ ყოფილა დასახელებული, მაგრამ, ეტყობა, ლაპარაკია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესახებ.

იმავე დროს სირია მოითხოვს, რომ თურქეთმა დაუბრუნოს კილიკია, სადაც, როგორც ამტკიცებენ, ერთი მილიონი სირიელი „გარანდენებულია და ექსპლოატაციას განიცდის".

სირიის მთავრობა, განაცხადა შემდეგ ჯამილ მარდამ-ბეიმ, არასოდეს არ სცნობდა თურქეთთან კილიკიის შეერთებას. რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ „კილიკია არაგარკვევით განსაზღვრული სასაზღვრო რაიონია ალექსანდრეტის სანჯაყის ფარგლებს გარეთ. კილიკიის უმეტესი ნაწილი თურქეთის ფარგლებშია".

## კომუნისტთა დაპატიმრება ინდოეთში

**ლონდონი**, 29 იანვარი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 23 იანვრიდან მადრასის პროვინციაში დააპატიმრეს 75 თვალსაჩინო კომუნისტი. ისინი იმყოფებიან ველორის ცენტრალურ საპყრობილეში მადრასიდან 150 მილზე.

## იტალიის მთავრობის კრიზისის გამო

**რომი**, 29 იანვარი. (საკდესი). რომის გაზეთებში დაიბეჭდა იუნაიტედ პრესის სააგენტოს ცნობა, რომ „ამერიკის მიერ დაპირებული კრედიტებისა და დახმარების მიცემა იტალიისათვის შეჩერებულია, სანამ დე გასპერი ახალ კაბინეტს შეადგენდეს. ამასთანავე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი გულმოდგინედ ადევნებს თვალყურს დე გასპერის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მინისტრთა კრიზისის გადასაწყვეტად".

# უშიშროების საბჭოში

**ნიუ-იორკი**, 29 იანვარი. (საკდესი). გუშინ დილით შესდგა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა კორფუს სრუტეში მომხდარი ინციდენტის გამო ალბანეთის წინააღმდეგ ინგლისის საჩივრის პროცედურა.

თავმჯდომარემ მეიკინმა (ავსტრალია) სხდომის გახსნისას გამოაქვეყნა უშიშროების საბჭოს მიმართვა ალბანეთის მთავრობისადმი — გამოგზავნოს წარმომადგენელი საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად უხმოსუფლებოდ — და პასუხი ალბანეთის პრემიერ-მინისტრის ხოჯასი, რომელიც იუწყება, რომ თანახმაა გაგზავნოს წარმომადგენელი. ხოლო მისი ჩასვლის დღე შეუძლებელია განისაზღვროს სატრანსპორტო სიძნელეების გამო.

ინგლისის წარმომადგენელმა კადოგანმა წინადადება შეიტანა [illegible] ალბანეთის მთავრობის [illegible] პირით [illegible].

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა გრომიკომ განაცხადა, რომ ახალი მიმართვა საჭირო არ არის, ვინაიდან ალბანეთის მთავრობამ უკვე გვაცნობა აუცილებელი ღონისძიებანი მიღებულია.

მცირე დისკუსიის შემდეგ პოლონეთის წარმომადგენელმა ლანგემ წინადადება შეიტანა, რომ ალბანეთის მთავრობისადმი მიმართვისა და შემდეგი სხდომის თარიღის განსაზღვრა მიენდოს თავმჯდომარეს. ლანგეს წინადადება ერთხმად მიიღო საბჭომ. ამით სხდომა დასრულდა.

## იუგოსლავიის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი

**ნიუ-იორკი**, 28 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრეს-ბიურომ გამოაცხადა, რომ ორგანიზაციის სამდივნომ იუგოსლავიის მთავრობისაგან მიიღო მიმართვა, რომელიც შეიცავს საჩივარს იმაზე, რომ საბერძნეთის მთავრობამ 27 იანვარს ხელმეორედ სთქვა უარი ნება დაერთო იუგოსლავიის დელეგატისა და მის მხლებელ პირთათვის ჩასულიყვნენ საბერძნეთში, რათა დასწრებოდნენ უშიშროების საბჭოს მიერ საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე სიტუაციის გამოსაკვლევად შექმნილი კომისიის სხდომებს, რომლებიც გეგმის მიხედვით 30 იანვარს უნდა დაიწყოს ათენში. უშიშროების საბჭოს საქმეთა გენერალური მდივნის თანაშემწემ სობოლევმა იუგოსლავიის საჩივარი გაუგზავნა საბერძნეთის მთავრობას და სთხოვა მას „მიიღოს ყოველივე საჭირო ღონისძიებანი".

## ინგლის-ბირმის მოლაპარაკების დამთავრების გამო

**ლონდონი**, 29 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბირმის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა უ სოუმ, ბირმის ერთ-ერთმა დელეგატმა, რომელმაც ხელი არ მოაწერა შეთანხმებას ბირმის დელეგაციასა და ინგლისის მთავრობას შორის, სააგენტოს წარმომადგენლისათვის გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ ბირმის დელეგაციის მიერ ინგლისის მთავრობისათვის წარდგენილი მოთხოვნების დიდი ნაწილი მთლიანად არ არის დაკმაყოფილებული. „ძირითად მოთხოვნათა შორის, — განაცხადა უ სოუმ, — იყო, ჯერ ერთი, ბირმისათვის დამოუკიდებლობის მიცემა ერთი წლის შემდეგ, მეორე, დამფუძნებელი კრების შექმნა პირდაპირი არჩევნების საფუძველზე. მესამე, დროებითი მთავრობის შექმნა კაბინეტის უფლებებითა და სრული რწმუნებებით, მეოთხე, თავდაცვაზე და საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობაზე კონტროლის გადაცემა ბირმის მინისტრებისათვის, მეხუთე, საზღვრისპირა რაიონების მოსახლეობის კავშირის დაუყოვნებლივ დამყარება ბირმის მთავრობასთან აღმასრულებელი საბჭოს შემადგენლობაში საზღვრისპირა რაიონების წარმომადგენელთა შეყვანის გზით, მეექვსე, ფინანსური ავტონომია. არსებობენ კიდევ ზოგიერთი სხვა ნაკლებ მნიშვნელოვანი მოთხოვნები".

უ სოუმ განაცხადა, რომ დამფუძნებელი კრების შექმნის გარდა, არცერთი ეს მოთხოვნა არ იყო დაკმაყოფილებული მთლიანად. „ერთი წლის შემდეგ დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხს სრულიად გვერდი აუარეს, ხოლო რაც შეეხება დამფუძნებელ კრებას, ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა იმის ამარა შენიშვნით, რომ რაიმე გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს დამფუძნებელმა კრებამ, ეს უნდა მოიწონოს ინგლისის პარლამენტმა".

ბირმის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საკითხებში ტაკინ ბა სეინმა, მეორე დელეგატმა, რომელმაც ხელი არ მოაწერა შეთანხმებას, განაცხადა: „მე არ შემიძლია ხელი მოვაწერო შეთანხმებას, რომელიც, ჩემი აზრით, დამორჩილებულია ბირმის ხალხის თავდაპირველ მოთხოვნებსა და მისწრაფებებს. დამფუძნებელი კრების შექმნა მე მიმაჩნია ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად, ხოლო შეთანხმებაში გათვალისწინებულია, რომ დამფუძნებელ კრებას არა აქვს აბსოლუტური ხმა კონსტიტუციის მიმართ, რომელიც მან შეიმუშავოს ბირმისათვის. მხოლოდ ინგლისის პარლამენტს ექნება საბოლოო სიტყვა. ერთი წლის შემდეგ დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი მთლიანად უგულებელყოფილია. ყოველივე, რაც ახლა ინგლისის პარლამენტმა მოგვცა, 1935 წლის კონსტიტუციის ფარგლებშია, რომელშიც შესწორებები შეტანილ იქნა 1945 წელს".

## პეტიკ-ლოურენსის განცხადება ინგლის-ბირმის მოლაპარაკების შესახებ

**ლონდონი**, 29 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ინდოეთისა და ბირმის საქმეთა მინისტრმა პეტიკ-ლოურენსმა 28 იანვარს ლორდთა პალატაში გამოაქვეყნა მთავრობის განცხადება ინგლისის მთავრობასა და ბირმის აღმასრულებელი საბჭოს დელეგაციას შორის ლონდონში წარმოებული მოლაპარაკების დამთავრების შესახებ. პეტიკ-ლოურენსის სიტყვით, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით ამა წლის აპრილში არჩეულ იქნება დამფუძნებელი კრება.

„ჩვენ განზრახული გვაქვს, — სთქვა პეტიკ-ლოურენსმა, — კონსტიტუციის შემუშავებისთანავე, გადავცეთ პარლამენტს განსახილველად სათანადო საკანონმდებლო ღონისძიებანი. მაგრამ შუალედ პერიოდში, რომელიც, ვიმედოვნებთ, ხანმოკლე იქნება, ბირმის მართვა-გამგეობა, ისევე როგორც ამჟამად, განხორციელდება 1935 წლის კანონის საგანგებო მუხლების შესაბამისად. გუბერნატორისა და აღმასრულებელი საბჭოს იურიდიული რწმუნებანი არ შეიძლება შეიცვალოს, თუ შესაბამისი კანონმდებლობა არ იქნება. მაგრამ გადაწყდა, რომ დროებითი მთავრობა საერთოდ შეიქმნება იმავე საფუძველზე, როგორც ინდოეთის დროებითი მთავრობა. ზოგიერთი საკითხი, რომელიც ამჟამად ოფიციალურად გუბერნატორის კომპეტენციას შეადგენს, მომავალში აღმასრულებელ საბჭოს გადაეცემა". პეტიკ-ლოურენსმა განაცხადა, რომ მიღწეულია აგრეთვე შეთანხმება საზღვარგარეთ ბირმის წარმომადგენლობის მოწყობაზე და მოსაზღვრე რაიონების სურვილის გამოვლინების ღონისძიებათა შესახებ.

მაგრამ, განაგრძო პეტიკ-ლოურენსმა, ბირმის დელეგაციის ორმა წევრმა შეუძლებლად მიიჩნია შეთანხმებას ხელის მოწერა. პეტიკ-ლოურენსმა მწუხარება გამოსთქვა ამის გამო და აღნიშნა, რომ ბირმის ხალხმა და მთავრობამ უნდა გამოარკვიონ მომავალი ურთიერთობა ინგლისთან და დასძინა: „ჩვენ მივესალმებით მათ, თუ ისინი გადასწყვეტენ, რომ ბირმა უნდა დარჩეს ერთი ბრიტანული თანამეგობრობის წევრად".

ასეთივე განცხადება თემთა პალატაში გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ.

## გაფიცვა სამხრეთ-აფრიკის კავშირის ოქროს სამადნოებში

**ლონდონი**, 29 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რენდის ოქროს სამადნოს მუშათა გაფიცვას შეუერთდნენ ხუთი სხვა სამადნოს მუშები. არავითარი ნიშანი არ არის, რომ გაფიცვა მალე დამთავრდება. მთლიანად გაფიცულია 14 სამადნოს მუშები. სამხრეთ აფრიკის კავშირის 16 სხვა სამადნოს მუშები გაფიცული არიან ნაწილობრივ.

### თეატრებში

**31 იანვარს:** სახელმწიფო ოპერა — „კაკო ყაჩაღი"; რუსთაველის სახელობის — „მეზღვაურები"; გრიბოედოვის სახელობის — „შავი ფული"; მუსიკალური კომედიის — „მზის დაბნელება"; მოზარდ მაყურებელთა ქართული — „ჩვენი ახალგაზრდობა"; რუსული — „მშვენიერი ვასილისა".

### კინოებში

**31 იანვარს:** რუსთაველის სახელობის, დამკვრელი და 26 კომისრის სახელობის — „ადმირალი ნახიმოვი"; სპარტაკი — „მარტოდ მოსჩანს თეთრი იალქანი"; ლუქსემბურგის სახელობის — „ტრაქტორისტები".

### ლექცია

31 იანვარს, საღამოს 8 საათზე, კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში მასწავლებლებისათვის შესდგება პროფესორ ქ. ბაქრაძის ლექცია თემაზე: „მსჯელობის ძირითადი კანონები" (რუსულ ენაზე).

### კონსულტაცია

31 იანვარს, საღამოს 8 საათზე, კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტში ჩატარდება ამხ. კალანდაძის ინდივიდუალური კონსულტაცია ფილოსოფიაში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
**ბ. ნანიტაშვილი**

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1947 წლის 13 თებერვალს, დღის 3 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

**ივანე დიმიტრის-ძე კვაჭაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„დროთა ფუნქციების სწავლებისათვის ფრანგულში"**.

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **გ. ახვლედიანი**, პროფესორი **გ. თავზიშვილი**.

**შალვა მიხეილის-ძე კეკელია** პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა სწავლებისათვის საშუალო სკოლაში"**.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი **გ. თავზიშვილი**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **ა. მახარაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**დიმიტროვის სახელობის ქარხანას** ესაჭიროება შემდეგი სპეციალობის მუშები: ხარატები, მღარავლები, მხერხავები, ზეინკლები, მჭედლები, მეშოკლონეები, მრანდავები, მეთუნუქეები, დურგლები, ხუროები, ელექტრომონტიორები, ზემოაღნიშნული სპეციალობის ინდივიდუალური სწავლების მოწაფეები, აგრეთვე დამხმარე მუშები.

გარდა ამისა ესაჭიროება: კონსტრუქტორი ინჟინრები, მექანიკოსები, ლითონის ცივად დამუშავების ტექნოლოგები, მოანგარიშეები, ბუღალტრები.

სამუშაოზე მიღებულთ ქარხანა უზრუნველ ჰყოფს საერთო საცხოვრებლით.

ყოველგვარი ცნობისათვის მიმართეთ მიღება-დათხოვნის განყოფილებას, ტელეფონი № 3-51-58, დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

**დირექცია**

მოქალაქე **ალექსანდრე ილარიონის-ძე შაშიაშვილი**, მცხოვრებმა ვახტანგოვის ქ. № 1, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ვერა გესარიონის ასულ გოგიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **სანდერ აბრამის-ძე ასატუროვმა**, მცხოვრებმა პლეხანოვის პროსპ. № 122, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ გრიგოლის ასულ ასატუროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება **თამარ კონსტანტინეს ასულ ქოიავა-ხორავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში 2/II.

მეუღლე იორდანე მიხეილის-ძე გოცაძე, შვილები ფრიდრიხი, ვილგელმი იუწყებიან **ნინო სტეფანეს ასულ გოცაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/II ქ. ზესტაფონში.

მეუღლე პოლინე შვილებით, ძმები კოლია, სერგო, სარდიონ და ითნა ცოლშვილით იუწყებიან **ზურაბ მაკარის-ძე ყრუაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფელ ასურეთში.

დედა ეკატერინე, ბებია ტასო, მამიდა მარუსა, ბიძაშვილები: ხიტუ, ვანო, ეთერ და გივი იუწყებიან **ჟუჟუნა ტალიკაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 2/II, 4 ს. ქორეს, 33.

სევერიან, შალვა, ვალოდია და კაკო კარსანიძეები იუწყებიან **გოგი კარსანიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/II სოფელ მათხოჯში.

მეუღლე თამარ, შვილი ქეთევან, სიდედრი კატო იუწყებიან **გიორგი პეტრეს-ძე ზანდუკელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 31/I, 1/II, 8 ს. გამოსვენება 2/II, 2 ს. კავთურის, 1.

ანა, ივანე, მიხეილ, თამარ გოდერძიშვილები, სალომე, გიული, ლამარა, ნოდარ კაპანაძეები იუწყებიან **მერი სპირიდონის ასულ ფიცხელაურის** გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, შვილები ანდრო, დავით, რძალი ლიდა შვილებით, დები ვერა, ანა, პლატონიდა ლონლაძეები იუწყებიან **ნიკოლოზ არსენის-ძე ლონლაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-88, კულტურის, უცხოეთის ამბებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგესა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 ეგ 00114